პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 დეკემბერი პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 294 (14594)

ლენინურ გზაზეა ბრძოლის ვარსკვლავ

ახალი წლის მიჯნაზე

● **თბილისი.** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოთა კოლექტივებმა ყველა მანევნებლის მიხედვით ვადაზე 13 დღით ადრე გაანაღდეს ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა, განვლილი პერიოდის მანძილზე საწარმოებმა გამოუშვეს 117,4 მილიონი მანეთის ზღვა პროდუქცია. აქედან 85 მილიონ 700 ათასი მანეთის პროდუქცია ფართო მოხმარების საგნებია.

ლენინურ საიუბილეო ვახტზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკამ, დედაქალაქის № 3, № 4, გორის მექანიკურმა ქარხნებმა, აგრეთვე წყალტუბოს, ხაშურის, თერჯოლის და მარნეულის სამრეწველო კომბინატების კოლექტივებმა.

სამინისტროს სისტემაში შემავალმა საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს წლის ბოლოდე გეგმის ზევით მოახდინონ 5 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

● **ჭიათურა.** (საკ. კორ.). საქართველოს [illegible] ლენინის დაბადების 100 წლისთავს — [illegible] ტური შეჯიბრების ინიციატორები — ჭიათურელი მაღაროელები პირნათლად ასრულებენ ვალდებულებებს. ჭიათურის მარგანეცის ლენინის ორდენოსანი ტრესტის კოლექტივმა 12 დეკემბერს შეასრულა სასაქონლო პროდუქციის-დამზადების ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება და 1970 წლის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათასობით ტონა მარგანეცი, მაღაროელებმა ახალი წელი დაიწყეს.

წლიური გეგმები კარგახანია შეასრულეს კალინინის სახელობის მაღაროსა და ცენტრალური დამუშავი ფაბრიკის კოლექტივებმა. ჭიათურელი მაღაროელები წლის ბოლომდე საშობლოს მისცემენ ათეულ ათასობით ტონა მარგანეცს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

საქმიანად, დიდი დაინტერესებით



17 დეკემბერს დღის სამ საათზე დეპუტატ **ბ. ე. პატონის**—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარეობით დაიწყო კავშირის საბჭოს სხდომა.

შეკრებილნი და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, პ. ე. შელუხტს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, დ. ა. კუნაევს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, მ. ხ. სოლომენცევს.**

კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიათა თანამოხსენებისათვის სიტყვა მიეცა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **პ. ა. როზენკოს.** მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის 1970 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებენ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას, ჩვენი საშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მოწმობენ დიდი ლენინის ანდერძის განუხრელად განხორციელებას.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურმა ზრუნვამ ხალხის კეთილდეღეობისათვის, განაგრძო ორატორმა, მატერიალური წარმოების განუწყვეტელმა ზრდამ საშუალება მოგვცეს უზრუნველგვყო საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება უკვე მიმდინარე წელს მიაღწიეს ხუთწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულ დონეს. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე განგარიშებით ხუთწლედში გათვალისწინებულია გადიდდეს დაახლოებით 30 პროცენტით.

პ. ა. როზენკომ აღნიშნა, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დიდი რეზერვებია, რომლებიც უნდა ავამოქმედოთ. კერძოდ, 1970 წლის გეგმით სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ დავალებათა შესრულებას უზრუნველყოფს ტექნიკის, მინერალური სასუქების, სანერგე და სხვა მასალების სულ უფრო მზარდი მიწოდება. საჭიროა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ამ უდიდეს მატერიალურ რესურსებს მაქსიმალური ეფექტიანობით ვიყენებდეთ.

კომისიებმა, განაგრძო დეპუტატმა, განახილეს და ყოველმხრივ განსაჯეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმისა და ქვეყნის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების განხილვა.

კომათი გახსნა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, დეპუტატმა **ვ. ა. დემიჩენკომ.** ამ ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებანი დაგეგმვის სრულყოფისა და წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის, თქვა მან, ნაყოფიერ გავლენას იხდენს სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

ვ. ა. დემიჩენკომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების განვითარებას. ხუთწლეულის მანძილზე ქვეყნის ამ დიდმნიშვნელოვან რაიონს უნდა მოხმარდეს დაახლოებით 9 მილიარდი მანეთი. ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებანი, ანუ 1,4-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში. ეს საშუალებას გვაძლევს დავაჩქაროთ მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგების განვითარება ტემპში, როგორიცაა შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. მნიშვნელოვნად მეტი მოცულობით ვაწარმოოთ საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მაგრამ, აღნიშნა დეპუტატმა, ჯერ კიდევ ტუდად ითვისებენ ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისათვის, ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნისათვის გამოყოფილ სახსრებს. საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა პარტიის XXIII ყრილობის მიერ შრომეული აღმოსავლეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ამოცანათა განხორციელებისათვის.

მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ნ. ტ. კოზლოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გავადიდოთ ადგილობრივი ორგანოების როლი სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, ეფექტიანად შეეუხმოთ ერთმანეთს დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვა. მან განაცხადა, რომ მოსკოვის ოლქისათვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ შედარებით მცირე ტერიტორიაზე, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 5,5 მილიონს შეადგენს, თავმოყრილია ბევრი სამრეწველო საწარმო. აქედან 75 პროცენტი საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარებისაა.

დეპუტატის აზრით, მოსკოვის ოლქის პირობებში სამრეწველო წარმოების მოცულობის შემდგომი გადიდება უნდა ხორციელდებოდეს მომუშავეთა არსებული რიცხვის ფარგლებში, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური შეიარაღების, ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გზით. ორატორმა მოიყვანა მაგალითები, როცა საწარმოებში მომუშავეთა რიცხვის შემცირებისას მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების მოცულობა.

ამავე დროს, აღნიშნა დეპუტატმა, ზოგიერთი უწყება ცდილობს აშენოს ახალი ქარხნები და ფაბრიკები ოლქის ტერიტორიაზე. ამასთან ისინი ხშირად არ ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, გორიცაა მიწა, წყალი, ტყე, აგრეთვე ელექტროენერგიით, გაზით, ტრანსპორტით და განსაკუთრებით შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა. ამის შედეგად საწარმოო სიმძლავრეებს ცალკეულ საწარმოებში სრულად ვერ იყენებენ.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ნ. ნ. შიბაევმა** მიუძღვნა ლენინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის შედგომი განვითარების პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ ჭალაქისა და ოლქის მრავალმილიონიანი მოსახლეობის მოთხოვნილებანი ყვების პროდუქტებზე — რძეზე, ხორცზე, საადრეო კარტოფილსა და ბოსტნეულზე — სულ უფრო იზრდება. ახლა შემოუშავებულია სოფლის მეურნეობის განვითარების პრინციპალური გეგმა. 1975 წლამდე თითქმის ერთიორად უნდა გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ა. ნ. შიბაოლოვი შეეხო აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხს. კერძოდ, მან წამოაყენა წინადადება, რომ ახალ რაიონებში ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობასთან ერთად კიდევ უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ძირითადი საწარმოო ფონდები ისეთ ძველ ინდუსტრიულ ცენტრებში, როგორიცაა მაგალითად, მოსკოვი, ლენინგრადი, სვერდლოვსკი, ხარკოვი. აქ არის ქალაქთმიკეული მუშათა კადრები, დიდი საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი ძალები. ამასთან, ლენინგრადის ბევრ საწარმოში ნელა ცვლიან მოწყობილობას, მაშასადამე, არ იქმნება სათანადო პირობები ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის.

აზერბაიჯანის სსრ ქალაქ კიროვაბადის კალატოზთა ბრიგადირმა, დეპუტატმა **ი. ბ. ყულიევმა** თქვა, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 4,7 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ შედეგები შეიძლება გაცილებით მეტი ყოფილიყო, მთელი რიგი. საწარმოები რომ არ ჩამორჩებოდნენ. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი უნარიანად არ იყენებს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის უპირატესობას, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, ურიგდება საპროექტო სამძღვარეების ათვისების ნელ ტემპს. უნდა მოვთხოვოთ ასეთ ხელმძღვანელებს, რომ პასუხისგებით ეკიდებოდნენ საქმეს, ხოლო ისინი, ვინც თავს ვერ ართმევს მუშაობას, შევცვალოთ უნარიანი ადამიანებით, რომელთაც გული შეტკივეთ წარმოების ავ-კარგიანობისთვის, განაცხადა დეპუტატმა.

აზერბაიჯანს, განაგრძო ორატორმა, აქვს ქვისა, თიხისა და სხვა საშენი მასალების დიდი მარაგი. მაგრამ პირველი წელი როდია, რომ გეგეცლია არა-მარტო ქვა, არამედ ალურიც. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში არის მარმარილო. მაგრამ ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები ხშირად სხვა რესპუბლიკებს მიმართავენ მოსაპირკეთებელი მარმარილოს ფილებისათვის. საჭიროა, რომ სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ საჭირო დახმარება აღმოუჩინოს აზერბაიჯანელ მშრომელებს შინაგანი რესურსების გამოყენებაში.

მიმდინარე ხუთწლედში, თქვა სსრ კავშირის საკავშირო ეკონომიკურ მრეწველობის მინისტრმა **ა. მ. ტარასოვმა,** გამოიყოფა მნიშვნელოვანი სახსრები მოქმედი ავტომქარხნების რეკონსტრუქციისათვის, გაფართოებისა და ახალი ქარხნების მშენებლობისათვის. ფართოვდება გორკისა და მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ქარხნები. თთქმის ერთიორად გადიდდება მანქანების გამოშვება ულიანოვსკის ავტოქარხანაში. დასახულია საავტომობილო ქარხნის მშენებლობა თათარეთში. 1970 წელს დაიწყება მსუბუქი ავტომობილების პირველი სერიის გამოშვება ვოლგის ქარხანაში.

მინისტრი შეეხო მიზეზებს, რომლებიც ავორრხებენ საავტომობილო მრეწველობის განვითარებას.

ავტომობილების გამოშვების გადიდების გადამწყვეტი ფაქტორი, განაცხადა მინისტრმა, არის შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა. ეს კი წარმოუდგენელია, თუ წარმოება არ აღიჭურვება დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური მოწყობილობით, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებებით. ამავე დროს ჩარხსაშენებელი მრეწველობა ავტომობილმშენებლობას ვერ უზრუნველყოფს საჭირო მოწყობილობით, როგორც რაოდენობით, ისე ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით.

მხოლოდ ოცი დღე გავიდა მას შემდეგ, თქვა ვორონეჟის ოლქის ტალოროიაის რაიონის კოლმეურნეობა „ზნამია ოქტიაბრიას" თავმჯდომარემ **ა. ვ. ნასონოვმა,** რაც მოსკოვში გაიმართა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობამ ცხადყო ლენინური კოოპერაციული გეგმის გამარჯვება. სოფლის მშრომელებს დაუსახა ახალი ნათელი პერსპექტივები.

ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითით, განაცხადა ორატორმა, ვხედავთ, თუ რა კარგ პოზიციას ანდენს პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი მეურნეობის განვითარებას. მიწათმოქმედების საერთო კულტურის ამაღლების, ხარისხოვანი თესლის გამოყენების, ორგანული და მინერალური სასუქების სწორად გამოყენების შედეგად კოლმეურნეობა „ზნამია ოქტიაბრია" იწვევს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მყარ მოსავალს. მნიშვნელოვნად დიდდება კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი, იზრდება შრომის ნაყოფიერება, ამ საფუძველზე კი მატულობს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

კუიბიშევის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა დეპუტატმა **ბ. ა. მოჩალოვმა** შეეხებოდა ბიუროკრატიზმისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებში ქარხნის მუშაობის გამოცდილება, დაკვრწმენდინთ, თქვა მან, რომ საწარმომ ახლებურად მუშაობისას მიიღო ფართო ინიციატივა და დიდი დამოუკიდებლობა სამეურნეო საქმიანობაში; განთავისუფლდა წვრილი მეურვეობისაგან. ამისა და ტექნიკური პროგრესის დარგში კოლექტივის დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად შრომის ნაყოფიერება ქარხანაში მიმდინარე წელს უკვე 15,4 პროცენტით გაიზარდა. სასაქონლო პროდუქციის წარმოება 16,6 პროცენტით გადიდდა.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები: უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ა. ტიტარენკო,** ბელორუსიის კომპარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ე. პოლიაკოვი,** ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ს. კოლებაევი.**

ამით კავშირის საბჭოს დღეგანდელი სხდომა დამთავრდა.

18 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს.

დილის 10 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ კავშირის საბჭოს დეპუტატები და მრავალი სტუმარი.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, პ. ე. შელუხტს, ვ. ვ. გრიშინს, დ. ა. კუნაევს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, მ. ხ. სოლომენცევს.**

სხდომის თავმჯდომარეს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ა. შარიპოვმა** კამათის განგრძობისათვის უნიყვა მისცა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დეპუტატ **დ. რასულოვს.**

სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში, თქვა ორატორმა, ყოველმრივ გათვალისწინებულია როგორც მთელი ქვეყნის, ისე მომიე მოკავშირე რესპუბლიკების შემდგომი განვითარების ამოცანები.

დ. რასულოვმა განაცხადა, რომ ტაჯიკეთის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, იბრძვიან ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. მაგრამ ზოგიერთი საწარმო დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს. დეპუტატმა გააანალიზა მათი ჩამორჩენის მიზეზები და განაცხადა, რომ ამაში საკავშირო სამინისტროებსაც მუძღვით რამდენადმე ბრალი. მან მაგალითისათვის მოიყვანა ტაჯიკეთის საფეიქრო მანქანათმშენებლობის ქარხანა. უკანასკნელ ხანს მისი საქმიანობა მკვეთრად გაუარესდა, პროდუქციის გამოშვება შეიკვეცა. რენტაბელური ქარხანა ზარალიანად გადაიქცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ რესპუბლიკურ ორგანიზაციათა თხოვნის მიუხედავად, დღემდე არ არის განსაზღვრული ქარხნის პროფილი, ზშირად იცვლება მისი საწარმოო პროგრამა.

დ. რასულოვმა ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გაიქცეოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობა, გაიზარდა მათი როლი იმ საკითხების მომზადებასა და განხილვაში, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასთან. ამ საყურადღებო გამოცდილებას იყენებენ თავიანთ საქმიანობაში ტაჯიკეთის უმაღლესი საბჭო და ადგილობრივი საბჭოები. ამის შედეგად იზრდება მათი როლი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ი. კლაუსონმა** თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მართვის აპარატის სრულყოფასა და გაიაფებას. ესტონეთში, თქვა მან, უკვე რამდენიმე წლის წინათ მთლიანად გაუქმდა შუალედური რგოლები მრეწველობის მართვაში. მაგრამ აღრიცხვისა და ანგარიშგების რეფორმა, სისტემა, საანგარიშო და მექანიზაციის სხვა საშუალებათა უმარტივესი საშუალებას ხარ გვაძლევს არსებითად შევამციროთ, მაგალითად, საანგარიშო-საბუღალტრო აპარატის შესანახი ხარჯები. განსაკუთრებით გვაკლია საანგარიშო ტექნიკა საბჭოთა მეურნეობებში. მარშან საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს მხოლოდ 117 გამოსათვლელი მანქანა 2.188 მანქანის ნაცვლად.

დეპუტატის აზრით, მართვის აპარატის შემცირების საკითხების ადაპტრისას ისეთ რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, შეიძლება გაერთიანდეს მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები და შევამციროთ მათი შტატები, მაგრამ ასეთი გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მთელ რიგ რესპუბლიკებში, მოეწყობა, თუ განხორციელდება შესაბამისი საკავშირო სამინისტროებისა და კომიტეტების გარდაქმნა. ამასთან დაკავშირებით, თქვა ვ. ი. კლაუსონმა, დადგა დრო შეგვქმნათ საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ხელს მოჰკიდებდა სახელმწიფო მართვის ორგანოებში შრომის სტრუქტურისა და მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს.

შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩელიაბინსკის მშრომელთა დეპუტატების სოლოქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. პ. გაივორონსკიმ.** ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მასობრივი მოძრაობის საფუძველზე, რომელიც მაგნიტოგორსკელებმა გაარაღეს, შესაძლებელი გახდა შრომის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მშრომელთა განთავისუფლება მოძველებულ წარმოებაში ახალ საწარმოებში. მათ გამოსაყენებლად, თქვა, მან.

ი. პ. გაივორონსკიმ მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და გამოსული დეპუტატების წინადადებას, რომ დაამტკიცონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი მათ მიერ შეტანილი შენიშვნების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის განათლების მინისტრი დეპუტატი **მ. ა. პროკოფიევი** შეეხო ჰთელ რიგ საკითხებს სასკოლო განათლების შემდგომი განვითარების შესახებ. მან განსაკუთრებით გამოყო სოფლის სკოლის პრობლემები. კოლმეურნეთა მესამე ყრილობაზე, თქვა ორატორმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა ამოცანა — დაეხმაროთ კოლმეურნეობებს ადგილობრივ მეურნეობებს მოამზადონ საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთაგან მექანიზატორები და სხვა სპეციალისტები.

საამისო ღონისძიებანი უნდა შეეთანხმოთ უნიფარეს „ყოველსა მთელი განათლებისა და აღზრდის ხარისხის შემდგომი ამაღლების ბაზაზე. თუ უკეთ და მიზანშეწონილად გამოვიყენებთ სასწავლო გეგმით შრომითი სწავლებისათვის, საბაუფლო პრაქტიკისათვის განკუთვნილ დროს, აკრეთვე გამოვიყენებთ ფაკულტატიური მეცადინეობის ნაწილს, ამით შეგვიძლია მნიშვნელოვნად ავამაღლოთ შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ხარისხი.

დეპუტატმა **ლ. ა. ლიუბჩენკომ,** ვლადიმირის ოლქის აღზრდამეცადინეობის ოლქის ინსპექტორმა „ბოლშევიკის" თავმჯდომარემ, რომელიც მონაწილეობას იღებდა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობაში, ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების პრობლემებზე.

წელს, აღნიშნა მან, კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა" ჰექტარზე მოიყვანა 30 ცენტნერი მარცვლეული და სახელმწიფოს მიჰყიდა 156 ათასი ფუთი პური, აქედან გეგმის ვალდებულებით — 72 ათასი ფუთი. ახლა სოფლის მშრომელნი პოულობენ რეზერვებს მემანქანეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

მომავალ წელს კოლმეურნეობა გეგმავს 32 ცენტნერი მარცვლეული მოიწიოს თითოეულ ჰექტარზე და ყოველ ას ჰექტარ სავარგულზე აწარმოოს სულ ცოტა 110 ცენტნერი ხორცი და 400 ცენტნერი რძე. მაგრამ ამისათვის საჭიროა, ქმიერ სამუალებათა უფრო თანაბარ გამოყენება.

დეპუტატმა ლ. ა. ლუბჩენკომ ქმაყოფილება გამოთქვა, რომ 1970 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტში მთავარი ყურადღება ეთმობა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას.

მრეწველობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვის საკითხები იდგა მოლოდვეთის კომბინატის რიბნიცის რაიონის პირველი მდივნის დეპუტატ **ე. ა. ზახაროვის** გამოსვლის ცენტრში ორატორი, კერძოდ, შეეხო ყველის მრეწველობის განვითარებას. „ამ ბოლო ხანებში ამ ინდუსტრიაში ბევრი ფული ჩაიდო. ეს ფული ეფექტიანად ამუშავებს. ეს ინდუსტრია ბევრ ადგილზე ეხმარება ადგილობრივ ბიუჯეტ

საქმიანად, დიდი დაინტერესებით

(დასასრული)

მოწყობილობის განახლება. ბევრი პროცესი საერთოდ არ არის მექანიზებული. დიდია ხელის შრომის ხვედრითი წონა რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნებში. საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები ნაკლებ მოთხოვნებს უყენებენ იმპორტულ მოწყობილობასაც, რომელიც ხშირად არაკომპლექტური მოდის. ყოველივე ეს უარყოფითს გავლენას ახდენს კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობაზე. ჩვენი აზრით, განიხილა ორატორმა, იმ დარგების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის საკითხები, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნების უმეტესენ, უფრო სრულად უნდა ასახოს მორიგი სამეოთხედი წლის გეგმასა და ბიუჯეტში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამოჯანმრთელებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვ. ო. კობახიამ.**

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები: სკკპ ბრიანსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. კ. კრასნოალეიოვი,** ყარაყალპაყეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ე. ალტუმურატოვი,** დონეცკის ოლქის „პეტროვსკენანაბშირის" ტრესტის № 5-ის „ტრუდოვსკაიას" შახტის კომპლექსური ბრიკადის ბრიგადირი **ი. ი. სტრელჩენკო.**

ამით კავშირის საბჭოს დეპუტატებმა დაამთავრეს განხილვა ეროვნული საკითხებზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა" და „სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება".

საბოლოო სიტყვა დღის წესრიგის პირველ საკითხზე წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. კ. ბაიბაკოვმა.**

სესიაზე სახალხო-სამეურნეო გეგმის განხილვამ, თქვა დეპუტატმა, გვიჩვენა, რომ იგი სავსებით შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საარსებო ამოცანებს. საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამშრომლებმა ბევრი იმუშავეს ფინანსთა სამინისტროს ყურადღებით განიხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. განხორციელებულ ღონისძიებებს დროულად აცნობებენ დეპუტატებს.

სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ხაზი გაუსვა ვ. ო. კარაბუხოვმა, — ეს არის მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის ბიუჯეტი. იგი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კომუნისტური მშენებლობის დასახულ პროგრამას.

კავშირის საბჭომ ერთხმად დამტკიცა კანონი სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიებმა დეტალურად განიხილეს 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და შეიტანეს წინადადება 130 მილიონი მანეთით გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავალი. კავშირის საბჭოს კომისიებმა წინადადება წამოაყენეს დამატებითი ფულადი რესურსები, მოკავშირე რესპუბლიკების შუამდგომლობის შესაბამისად, მოხმარდეს რაიონული ცენტრების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობას; საავადმყოფოებისთვის, სკოლებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას; სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების რემონტს; საავადმყოფოების რეკონსტრუქციას; პიონერთა სახლებისათვის, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებისათვის, საბავშვო, სპორტული და სხვა დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა აღნიშნული წინადადებანი და დამავალა მოგახსენოთ, თქვა მინისტრმა, რომ სსრ კავშირის მთავრობა ეთანხმება აღნიშნულ შესწორებებს და მოხარშეწონილად მიაჩნია მიიღოს ისინი.

დეპუტატების გამოსვლებში, აგრეთვე კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში აღნიშნული იყო ნაკლოვანებანი მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში, რომლებიც მთლიანად ვერ იყენებენ ახსებულ შესაძლებლობებს წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ასამაღლებლად.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკებმა, მინისტრთა საბჭოებმა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უფრო სრულად უნდა გამოავლინონ წარმოების რეზერვები, გაძლიერონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და თვითღირებულების შემცირებისათვის, ყოველი ღონისძიებით დანერგონ ეკონომიის რეჟიმი, ზუსტად დაიცვან საგეგმო და ფინანსური დისციპლინა. ფინანსურმა ორგანოებმა და ბანკების დაწესებულებებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი სახელმწიფო სახსრების-სწორი და ეკონომიური ხარჯვისადმი, შეიმუშაონ წინადადებანი სახელმწიფოს შემოსავლის დამატებითი წყაროების გამონახვისათვის, დახმარება გაუწიონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი საწარმოო და ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ყველა წინადადებასა და შენიშვნას ფინანსურ-საბიუჯეტო საკითხებზე, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს და რომლებიც მოცემულია კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ყურადღებით განიხილავს და აცნობებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. განხორციელებულ ღონისძიებებს დროულად აცნობებენ დეპუტატებს.

სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ხაზი გაუსვა ვ. ო. კარაბუხოვმა, — ეს არის მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის ბიუჯეტი. იგი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კომუნისტური მშენებლობის დასახულ პროგრამას.

კავშირის საბჭომ ერთხმად დამტკიცა კანონი სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიებმა მოხსენების გამო მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ კი: სულ შემოსავლის ნაწილში 144.928.030 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 144.656.421 ათასი მანეთის ოდენობით, გასავლიწ შემოსავლის 271609 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

ხარკები სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის — ძმური რეკვლეობის, სომშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის მომავალ წელს შეადგენენ 63.480.980 ათას მანეთს; ასიგნებანი სოციალურ-კულტურული დაწესებულებების რემონტს; საავადმყოფოების რეკონსტრუქციას; პიონერთა სახლებისათვის, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებისათვის, საბავშვო, სპორტული და სხვა დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას.

ასიგნებანი ქვეყნის თავდაცვისათვის 1970 წელს შეადგენს 17.854.000 ათას მანეთს.

კანონში დაფიქსირებულია მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები.

კავშირის საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეკალეკა განიხილოს წინადადებანი და შენიშვნები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, რომლებიც მოცემულია კავშირის საბჭოს მუდმივ კომისიათა დასკვნებში, აგრეთვე ბალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

კავშირის საბჭომ დაამტკიცა ანგარიში სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემოსავლის ნაწილში 130.835.896 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 128.558.474 ათასი მანეთის ოდენობით.

ამით კავშირის საბჭოს სხდომა დამთავრდა. (საკვლევი).

დეპუტატ გ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შემუშავებულია სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად და წარმოდგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

მომავალი 1970 წელი ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, არაჩვეულებრივია. ეს არის გამორჩენილი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილეს წელი. ჩვენი ქვეყნის ხალხებთან და მომავალ სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ერთად ლენინის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება მთელი პროგრესული კაცობრიობა, გამოხატავს რა ულრმეს პატივისცემას ამის მიმართ, ვისმა ნათელმა გენიამ და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ ახალი ერა დაიწყო საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში.

ჩვენი სამშობლოს მშრომელნი ლენინის იუბილეს ხვდებიან ფართოდ გაშლილი შემოქმედებითი ინიციატივით, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობით, რითაც გამოხატავენ უსაზღვრო ერთგულებას ლენინის უკვდავი იდეებისადმი, მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც თანამიმდევნოულად და გაზრდილად იარონ მის მიერ ნაჩვენები გზით.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ სრულიად შეუცვალა სახე ძველ ქართულ ქვეყანას. წარმოების სოციალისტურმა წესმა და მჭიდრო კავშირმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან საშუალება მოგვცა მოკლე ისტორიულ ვადაში შეგვექმნა საბჭოთა საქართველოში მძლავრი თანამედროვე მრავალდარგოვანი მეურნეობა. ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკაში ავადეთ და საექსპლოატაციოდ გადავეცით ძვირფასი მრეწველობის ათასზე მეტი საწარმო. საქართველო გახდა ენერგეტიკის, მეტალურგიის, ქიმიის, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, მრავალმხრივი კვების ინდუსტრიის რესპუბლიკა. რესპუბლიკის მრეწველობა ახლა 72-ჯერ მეტ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე 1913 წელს. განვითარებადი სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით აწვდის სრულიად საკავშირო ბაზარს მიწათმოქმედების ისეთ ძვირფას სახეობათა პროდუქციას, როგორიცაა ჩაი, ყურძენი, თამბაქო, ციტრუსები, ეთერეზეთოვნები და სხვ.

სოციალისტური გარდაქმნების შემადგენელი ნაწილი გახდა კულტურული რევოლუცია, რომელმაც უზრუნველყო საყოველთაოსაშუალო განათლების წარმატებით განხორციელება, უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე, ქართველი ხალხის სულიერ სიმდიდრეთა საგანძურის შევსება.

საქართველოს რესპუბლიკის წარმატება მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში წლითიწლობით მრავლდება. მაგალითად, მიუხედავად უკანასკნელი პერიოდის ფრიად არახელსაყრელი ამინდისა — ჩვენი კლიმატური პირობებისათვის არაჩვეულებრივად მკაცრი ზამთრის და დაგვიანებული გაზაფხულისა, საქართველოს მშრომელებმა მთლიანად წარმატებით შეასრულეს 1969 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებანი. სამრეწველო საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის 11 თვის გეგმა. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგენს რეალიზაციის მოცულობით 106,6 პროცენტს და მთლიანი პროდუქციის მოცულობით — 107,5 პროცენტს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ემზადებოდნენ რა ლენინსანაშაული მოვლენის — კოლმეურნეობა III სრულიად საკავშირო ყრილობისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პირუტყვის და ფრინველის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა კულტურის მიყიდვის დაწესებული დავალებანი.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებასა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიდ როლს ასრულებს კაპიტალური მშენებლობა. ყოველწლიურად ძირითადი ფონდების გაფართოებისათვის იხარჯება ეროვნული შემოსავლის დაახლოებით მეხუთედი. ამან საშუალება მოგვცა 4,8-ჯერ გაგვედიდებინა ძირითადი ფონდები ქვეყნის სახალხო მეურნეობაში 1950-1968 წლებში.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ფონდები უფრო რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი ეკონომიკის ზრდის ტემპი უფრო სწრაფი იქნებოდა, რომ დროულად სრულდებოდეს კაპიტალური მშენებლობისა და ახალი ობიექტების ამოქმედების გეგმები.

